პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს კოლეჯი ხვალინდელი წარმატებისთვის

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო ხაჩიძე

წევრები:

ქეთევან გელაშვილი

ფრიდონ გოგიაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

{თბილისი, 2018}

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: კოლეჯი ხვალინდელი წარმატებისთვის

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 404506502

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული კოლეჯი

■ საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2018 წლის 27 ივნისს შპს - კოლეჯის ხვალინდელი წარმატებისთვის წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ განაცხადის საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით 2018 წლის 2 და 3 აგვისტოს განხორციელდა ვიზიტი შპს კოლეჯში ხვალინდელი წარმატებისთვის.

ვიზიტის დაწყებამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები და შეადგინა დღის წესრიგი.

დღის წესრიგის შესაბამისად და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- დაწესებულების ხემძღვანელობასთან (დირექტორი, ხარისხის მენეჯერი) შეხვედრა და გასაუბრება;
- დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებლი დოკუმენტების შემოწმება (შინაგანაწესი, სტატეგიული და სამოქმედო გეგმები, ბრძანებები, დებულებები, წესდება და სხვა);
- პროგრამების განმახორციელებელი პირების პირადი საქმეების გადამოწმება;
- საგანმანათლებლო პროგრამები და პროგრამებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შემოწმება;
- ვიზიტის პერიოდში პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ დოკუმენტაციის შემოწმება;
- პროგრამის ხელმძღვანელებთან და მოდულის განმახორციელებლებთან გასაუბრება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- შენობის დათვალიერება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღწერა და დოკუმენტაციის შემოწმება (მატერიალური სტანდარტის კუთხით);
- ბიბლიოთეკის ფონდის შემოწმება;
- ვებ გვერდის შემოწმება;
- რეესტრის (evet.emis.ge) შემოწმება;
- პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება, ინსტრუქტორებთან და იურისტთან ინტერვიუირება და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების/მემორანდუმების პირობების შემოწმება/შესაბამისობის განსაზღვრა;

ვიზიტის ბოლოს დაწესებულებას ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ გააცნო შეფასების პროცესში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☐	■
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	☐	■
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	□
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	□
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	□
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	□
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	□	■
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	■	□
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	■	☐
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	■	☐
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	■	☐
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	■	☐
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	■	☐
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	■	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	☐	■
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	☐	■
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	☐
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☐	■
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☐	■
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

საუკეთესო გამოცდილება არ დაფიქსირებულა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ქვესტანდარტი 1.1 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 6 / პუნქტი ა)

ჩარჩო დოკუმენტი, რის საფუძველზეც დაწესებულებამ შეიმუშავა საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურებისა (B1.1) და საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების (B2) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამები, მითითებულია რომ აღნიშნული პროგრამების განხორციელება უნდა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ სერტიფიცირებულ სასწავლო დაწესებულებაში. დაწესებულებას გაკეთებული აქვს განაცხადი საქართველოს სამოქალაქო საავიაციო სააგენტოში, თუმცა განაცხადი განხილვის პროცესშია. შესაბამისად, დაწესებულება ჯერ არ არის საავიაციო სააგენტოს მიერ სერტიფიცირებული საგანმანათლებლო დაწესებულება.

აქედან გამომდინარე, ქვესტანდარტი 1.1 დარღვეულია.

ქვესტანდარტი 2.7 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 7 / პუნქტი ზ)

დაწესებულება იჯარის ხელშეკრულებით ფლობს საიჯარო ფართს შენობის პირველ და მეორე სართულზე. სსსპ პირს თავისუფლად ექნება წვდომა სასწავლო ოთახებთან და ბიბლიოთეკასთან, რომლებიც განთავსებულია შენობის პირველ სართულზე, მაგრამ ვერ ექნება წვდომა ადმინისტრაციასთან, გამომდინარე იქიდან, რომ კიბის უჯრედზე განთავსებული არ არის პანდუსი და შენობაშიც არ არის ლიფტი. ასევე, სველი წერტილები არ არის ადაპტირებული.

შესაბამისად დარღვეულია ქვესტანდარტი 2.7.

ქვესტანდარტი 2.8 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 7 / პუნქტი თ)

ვებ გვერდზე სიახლეების განთავსება არ ხდება. შესაბამისად დარღვეულია ქვესტანდარტი 2.8.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქვესტანდარტი 3.2 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 8 / პუნქტი ბ)

დაწესებულების მიერ საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურებისა (B1.1) და საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების (B2) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის გათვალისწინებულია 12 პირი. ჩარჩო დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც შემუშავდა პროგრამები, მითითებულია, რომ ის პერსონალი, რომელიც პროგრამის ფარგლებში ჩართულია თეორიული და პრაქტიკული მომზადების პროცესში, უნდა ფლობდეს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ გაცემულ სათანადო მოწმობებს შესაბამისი თეორიული სწავლებისა და პრაქტიკული მომზადების უფლებით. აღნიშნული გაწერილია სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ „სამოქალაქო ავიაციის სასწავლო დაწესებულების სერტიფიცირების წესშიც“. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამების განმახორციელებელ პერსონალთა პირად საქმეში მხოლოდ ერთ პირს უდევს შესაბამისი მოწმობა. დაწესებულება სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ სერტიფიცირების პროცესშია, რომლითაც უნდა დადასტურდეს სასწავლო პროგრამების შეთანხმება და პროგრამის განმახორციელებლებისთვის სათანადო მოწმებების გაცემა. ამ პროცესის დასრულებამდე და დაწესებულებისთვის სერტიფიცირებული სასწავლო დაწესებულების სტატუსის მინიჭებამდე ქვესტანდარტი 3.2 დარღვეულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

VI. რეკომენდაციების შეჯამება

ქვესტანდარტი 1.1 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 6 / პუნქტი ა)

საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების ჩარჩო დოკუმენტით მისანიჭებელ კვალიფიკაციას წარმოადგენს „მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საჰაერო ხომალდების ტექნიკურ მომსახურებაში (B1, B2)“, ხოლო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებული ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო კვალიფიკაციად განსაზღვრავს - „მეხუთე საფეხურის პროფესიულ კვალიფიკაციას საჰაერო ხომალდების ტექნიკურ მომსახურებაში“. აქედან გამომდინარე, პროფესიული კვალიფიკაცია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით უნდა აისახოს დაწესებულების მიერ დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში.

გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამებში შესაძლებელია გარკვეული სახის ცვლილებები შევიდეს, სასურველია დაწესებულებამ შეიმუშაოს როგორც პროგრამის შემუშავების, ასევე მასში ცვლილებების შეტანის წესი, რომლითაც გაწერს, თუ ვინ უზრუნველყოფს პროგრამების შემუშავებას და როგორ მოხდება მასში ცვლილებების განხორციელება.

სასურველია დაწესებულებამ პრაქტიკის ობიექტებთან დადებულ ხელშეკრულებებში ნათელი გახადოს ბუნდოვანი საკითხები (გარკვეული წინადადებები სტილისტურად, შინაარსობრივად და აზრობრივად გაუმართავია), რადგან მნიშვნელოვანია ხელშეკრულების თითოეული პუნქტი იყოს მკაფიოდ ჩამოყალიბებული და გასაგები.

დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროგრამების არცერთ მოდულში მითითებული არაა მოდულის განხორციელების ადგილი მისამართის, კორპუსის, ოთახის მითითებით. შესაბამისად, სასურველია მოდულებში მიეთითოს მოდულის განხორციელების ადგილი.

ქვესტანდარტი 1.2 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 6 / პუნქტი ბ)

ბეჭდური კატალოგი არ ითვალისწინებს შეფასების წესს. აქედან გამომდინარე, კატალოგში შეფასების წესი გასაწერია, სანამ მოხდება მისი ვებ გვერდზე განთავსება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

კატალოგი არ არის ფორმალური დოკუმენტი, შესაბამისად მისი დამტკიცება აუცილებელი არაა.

სასურველია კატალოგში აისახოს დაწესებულების მთავარი ფასეულობები, აკადემიური კალენდარი, ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების მიღების შესახებ, ჩართულობა სხვადასხვა პროექტებში და ა.შ.

ქვესტანდარტი 1.4 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 6 / პუნქტი დ)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბერი №98/ნ ბრძანებიდან გამომდინარე - „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი“, აუცილებელია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე დაწესებულებამ უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელ დოკუმენთან (ატესტატი) ერთად სტუდენტისგან ჩაიბაროს, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრიდან გაცემული დოკუმენტი - უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება. დაწესებულის მიერ შემუშავებული კოლეჯში ჩარიცხვის წესი არ ითვალისწინებეს ზემოაღნიშნულ რეგულაციას. გამომდინარე იქიდან, რომ კოლეჯში მსგავსი ფაქტი არ ფიქსირდება, სასურველია აღნიშნული გაიწეროს დაწესებულების მარეგულირებელ წესში.

დაწესებულების მიერ გაწერილ სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველში მითითებულია, რომ სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერების საფუძველი შეიძლება გახდეს ფინანსური დავალიანება (რაც შესაბამისი გაფრთხილებების შემდეგ იწვევს პროფესიული სტუდენტის გარიცხვას კოლეჯიდან). გამომდინარე იქიდან, რომ გაურკვეველია რა იგულისხმება შესაბამის გაფრთხილებებში, რა სახის, რა პერიოდულობით (ერთჯერადი, მრავალჯერადი) გაფრთხილებაზეა საუბარი, სასურველია აღნიშნული გაწეროს დაწესებულებამ თავისივე რეგულაციაში.

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს სტუდენტისთვის შეუფერებელი სხვა ქმედება, თუმცა დაწესებულების მიერ არაა გაწერილი, რა შეიძლება იყოს შეუფერებელი სხვა ქმედება. შესაბამისად, აღნიშნული გასაწერი აქვს დაწესებულებას თავისივე რეგულაციაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

შინაგანაწესით ირკვევა, რომ სტუდენტთა მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს სსიპ განათლების ხარისხის მართვის ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი წესებისა და ვადების შესაბამისად. გამომდინარე იქიდან, რომ სსიპ - განათლების ხარისხის მართვის ეროვნული ცენტრი არ არსებობს და შესაძლოა იგულისხმებოდეს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ან სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, მაინც გაუგებარია, რომელ ვადებს ითვალისწინებს დაწესებულება, როდესაც პროფესიულ სტუდენტთა მობილობა ცენტრალიზებულად არ რეგულირდება, სამინისტრო და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი მობილობის ვადებს არ ადგენს არც სახელმწიფო და არც კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის. შესაბამისად, დაწესებულების მიერ მობილობის ვადები გასაწერია.

შინაგანაწესით ირკვევა, სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში არანაკლებ 10 დღეში. დაწესებულების განმარტებით, გამომდინარე იქიდან, რომ მოდულები ითვალისწინებს ყველა სწავლის შედეგის ერთხელ მოდულის ბოლოს დადასტურებას, მარეგულირებელ დოკუმენტში ტერმინის - „დასკვნითი გამოცდის“ გამოყენება, აქედანაა განპირობებული. მიუხედავად ამისა, სასურველია დაწესებულების მიერ შემუშავებული მარეგულირებელი დოკუმენტი ტერმინოლოგიურად გასწორდეს და მოერგოს მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების შესაძლებლობებსა და შეფასების ტიპებს.

ქვესტანდარტი 1.5 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 6 / პუნქტი ე)

იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლის დამატების სურვილსაც გამოთქვამს დაწესებულება, ახორციელებს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, სასურველია კოლეჯმა უზრუნველყოს მასთან მემორანდუმის გაფორმება, რომლითაც შესაძლებელი იქნება პროგრამის შეუცვლელად პროფესიული სტუდენტისთვის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა.

ქვესტანდარტი 2.3 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 7 / პუნქტი გ)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ვებგვერდზე განთავსებულ ბიბლიოთეკის დებულებაში ტექნიკური ხასიათის შეცდომაა. ბიბლიოთეკის მისამართად მითითებულია მარი ბროსეს ქუჩა, როდესაც ბიბლიოთეკა განთავსებულია ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე. შესაბამიად, მნიშვნელოვანია, დაწესებულებამ აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი გამოასწოროს და სწორი ინფორმაცია განათავსოს ვებ გვერდზე.

ბიბლიოთეკაში არის ბეჭდური წიგნების კატალოგი, რომელიც დანაწევრებულია პროგრამების მიხედვით და განაწილებულია რამდენიმე ჟურნალში. კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია, აღნიშნული ინფორმაცია გააერთიანოს და განათავსოს წიგნადი ფონდის ერთ საინვენტარო წიგნში.

ქვესტანდარტი 2.4 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 7 / პუნქტი დ)

სასურველია დაწესებულებამ შეიმუშაოს აქტი კომპიუტერული ტექნიკის გადანაწილების შესახებ ან/და პერსონალთან გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტები.

ქვესტანდარტი 2.5 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 7 / პუნქტი ე)

ხელშეკრულებათა აღრიცხვის ჟურნალში ახალი კალენდარული წლის, 2018 წლის ხელშეკრულებები 2017 წლის ხელშეკრულებებთან ერთადაა აღრიცხული. 2017 წელს მხოლოდ ერთი ხელშეკრულებაა გაფორმებული და შემდგომ მოსდევს 2018 წელს გაფორმებული ხელშეკრულებები. სასურველია, ახალი კალენდარული წლის ხელშეკრულებები ახალი გვერდიდან აღირიცხოს, რის შესახებაც კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია, მით უფრო რომ აღნიშნული გაწერილი აქვს დაწესებულებას თავისივე რეგულაციაში.

ქვესტანადრტი 2.8 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 7 / პუნქტი თ)

სასურველია, ვებგვერდზე განთავსდეს პროფესიული განათლების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები ან შესაბამისი ბმულები, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები და წინა წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ქვესტანადრტი 2.9 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 7 / პუნქტი ი)

სტრატეგიულ გეგმაში გაწერილი მოსალოდნელი შედეგები საჭიროებს აქტივობიდან გამომდინარე უფრო მეტ ჩაშლასა და დაკონკრეტებას. დაწესებულების მიერ გაწერილი მოსალოდნელი შედეგები არ იძლევა ყველა იმ მოსალოდნელ შედეგს, რასაც მოიაზრებს გაწერილი აქტივობები.

სამოქმედო გეგმაში გაწერილი შესრულების ინდიკატორები საჭიროებს დაკონკრეტებას, რათა იყოს გაზომვადი და მოგვცეს შესაძლებლობა განისაზღვროს, რამდენად გადის დაწესებულება სტრატეგიულ მიზანზე.

სასურველია დაწესებულების მიერ გაიწეროს ხედვა და ღირებულებები. ღირებულებებმა უნდა მოგვცეს ინფორმაცია იმ ძირითად პრინციპებზე, რომლებზე დაყრდნობითაც გეგმავს დაწესებულება მისიაში გაცხადებული მიზნების მიღწევას.

ქვესტანადრტი 3.1 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 8 / პუნქტი ა)

EASA Part 66-ით განსაზღვრულ საბაზო სასწავლო კურსების სასწავლებლად დაწესებულება ითვალისწინებს ევროპული საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს (EASA)-ს სტანდარტს და მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რომლებიც გაწერილია ინგლისურად. შესაბამისად, სასურველია, დაწესებულებამ სახელმწიფო ენაზეც გაწეროს და დაამტკიცოს საკვალიფიკაციო მოთხოვნები თითოეული თანამდებობისათვის, რომელთა მიმართებაშიც მოხდება პერსონალის შერჩევა და მათი კვალიფიკაციის შედარება.

ქვესტანადრტი 3.3 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 8 / პუნქტი გ)

შრომით ხელშეკრულებებში საუბარია, რომ გარკვეული საკითხები რეგულირდება შრომის შინაგანაწესით, როდესაც დაწესებულებას მსგავსი მარეგულირებელი დოკუმენტი არ აქვს. ამასთან ხელშეკრულებებში მითითებულია მხოლოდ სპეციალიზაციის კატეგორია და არა პროგრამის სრულის სახელწოდება. შესაბამისად, სასურველია თუკი შრომით ხელშეკრულებებში გაიწერება პროგრამების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

სრული სახელწოდება კატეგორიის მითითებით და სწორად მიეთითება მარეგულირებელი დოკუმენტიც.

VII. დაწესებულების მისია

კოლეჯის მისიაა:

ა) საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება;

ბ) საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოთხოვნების დაკმაყოფილება პროფესიული განათლების მქონე კვალიფიციურ კადრებზე;

გ) საზოგადოების, სახელმწიფოსა და ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნილებების შესაბამისად კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური, პროფესიონალი სპეციალისტების მომზადება.

დასახული მისიის შესასრულებლად კოლეჯი:

ა) უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის (შემდგომში სტუდენტი) განათლების, მომზადებისა და განვითარების პირობებს;

ბ) ზრუნავს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე;

გ) ახდენს საგანმანათლებლო პროცესის მატერიალურ - ტექნიკური და ინფორმაციული უზრუნველყოფის სისტემატურ სრულყოფას;

დ) უზრუნველყოფს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული მაღალი ხარისხის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნას, მათ რეალიზაციასა და მუდმივ განახლებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განაცხადისთვის თანდართულ საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურებისა (B1.1) და საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების (B2) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების აქტის საკონსტატაციო ნაწილში მითითებულია შემდეგი - „შპს „კოლეჯი ხვალინდელი წარმატებისათვის“ 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“, ხოლო განკარგულებით ნაწილში - „1. დამტკიცდეს საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B1.1) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მისი შემადგენელი მოდულები თანდართული სახით. 2. დამტკიცდეს საჰაერო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B2) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მისი შემადგენელი მოდულები თანდართული სახით.“ დაწესებულებამ აღნიშნული ტექნიკურ ხარვეზად დაასახელა და ვიზიტის დასაწყისშივე წარმოადგინა პროგრამების დამტკიცების აქტი, რომელშიც აღარ ფიქსირდება ზემოაღნიშნული ხარვეზი. ამასთან, გადამოწმდა ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი, რომლითაც ირკვევა, რომ შესაბამისი სარეგისტრაციო ნომრით დამტკიცებულია პროგრამები და არა სამოქმედო გეგმა. აქედან გამომდინარე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ და მასში განსაზღვრულია მიზნები, მოცულობა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია.

რაც შეეხება კვალიფიკაციას, საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურის ჩარჩო დოკუმენტით მისანიჭებელ კვალიფიკაციას წარმოადგენს „მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საჰაერო ხომალდების ტექნიკურ მომსახურებაში (B1, B2)“, ხოლო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებული ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო კვალიფიკაციად განსაზღვრავს - „მეხუთე საფეხურის პროფესიულ კვალიფიკაციას საჰაერო ხომალდების ტექნიკურ მომსახურებაში“. აქედან გამომდინარე, დაწესებულება უნდა დაეყრდნოს ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს და დასახელებული კვალიფიკაცია ასახოს მის მიერვე დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში. B1 და B2 კატეგორიების შესახებ ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანია დასაქმების მიზნებისთვის, დაწესებულების მიერ შესაძლებელია გაიცეს ცნობის, ან პროფესიული სტუდენტის დიპლომის დანართის სახით.

ჩარჩო დოკუმენტით საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების (B1) სპეციალიზაციის პროფესიულ/დარგობრივ მოდულებში მითითებულია მოდული „დგუშიანი ძრავები“, რომელიც დაწესებულების განმარტებით დგუშიანი ძრავების მქონე თვითმფრინავების ტექნიკური მომსახურების (B1.2) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილი უნდა იყოს. შესაბამისად ვერ იქნება აირტურბინული ძრავების მქონე თვითმფრინავების ტექნიკური მომსახურების (B1.1) პროგრამის ნაწილი. აქედან გამომდინარე, მათ აღნიშნული მოდული პროგრამაში არ შეუტანიათ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განაცხადთან ერთად წარმოდგენილი სასწავლო გეგმების გაანალიზებისას გამოიკვეთა, რომ დაწესებულების მიერ გათვალისწინებული არაა სასწავლო კვირების მიხედვით დამოუკიდებელი საათები. კვირების მიხედვით გაწერილია მხოლოდ საკონტაქტო და შეფასებისთვის გამოყოფილი საათები. თუ გავითვალისწინებთ დამოუკიდებელი საათების ჩათვლით პროფესიული სტუდენტის კვირეულ დატვირთვას, კვირაში სტუდენტის დატვირთვა ზოგჯერ 40 საათს აღემატება, ზოგჯერ კი - 30 საათზე ნაკლებია. შესაბამისად დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამებს არ ჰქონდა თანმიმდევრული სტრუქტურა. დაწესებულებამ ვიზიტისას წარმოადგინა ბრძანება (№5/2.08.2018) - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების ბრძანებაში ცვლილებების შესახებ, რომლის მიხედვითაც საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურებისა (B1.1) და საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების (B2) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმებს სასწავლო კვირების მიხედვით მიეთითა დამოუკიდებელი საათები. ამასთან, პროფესიული სტუდენტის დატვირთვა აღარ აღემატება 40 საათს, თუმცა საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების (B2) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ ერთი მოდული „პრაქტიკა 2 (B2)" ბოლო 7 კვირის განმავლობაში ითვალისწინებს კვირაში 20 საათიან დატვირთვას - დამოუკიდებელი საათების გარეშე (დანართი 2).

დაწესებულებას პროგრამებით გათვალისწინებული პრაქტიკის მოდულებისთვის გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „ეარფლეინ ტექნიკს"-თან, რომლითაც შემსრულებელი იღებს ვალდებულებას დამკვეთის მიერ დაქირავებული ან/და დასაქირავებელი პერსონალი მოამზადოს EASA PART 147-66-ით განსაზღვრული მოდულური სასწავლო პროგრამით (თეორიული ნაწილი) და 2022 წლის 31 დეკემბრამდე უზრუნველყოს პრაქტიკული კურსის სწავლება 415 პროფესიული სტუდენტისთვის. ხელშეკრულებით ირკვევა, რომ შემსრულებელი (შპს „ეარფლეინ ტექნიკს") უფლებამოსილია შეცვალოს ან შეიტანოს ცვლილებები სასწავლო კურსის/მოდულების შინაარსში დამკვეთის წინასწარი თანხმობის გარეშე, თუმცა ამგვარი ცვლილებები არ უნდა იწვევდეს სასწავლო კურსის/მოდულის არსებით ცვლილებებს; ასევე, თავისი შეხედულებისამებრ შეცვალოს სასწავლო კურსის/მოდულისათვის გათვალისწინებული აკადემიური პერსონალი თანაბრად კვალიფიციური პერსონალით, შეცვალოს კურსის/მოდულის ან სასწავლო პროგრამის ჩატარების ადგილი წინასწარი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

წერილობითი შეტყობინებებით, თუკი აღნიშნული გამართლებული იქნება საოპერაციო ხარჯების დაზოგვით და მისაღები იქნება დამკვეთისთვის. დაწესებულების განმარტებით, საქმე არ ეხება მოდულის არსებით ცვლილებებს და მოდულით გათვალისწინებულ სტანდარტულ ჩანაწერებს. საუბარია მხოლოდ მოდულის განმახორციელებლების სხვა კვალიფიციური პერსონალით ჩანაცვლებაზე, როდესაც გარკვეულ მიზეზთა გამო, ისინი ვერ შეძლებენ მოდულის განხორციელებას. ამ შემთხვევაში ჩანაცვლება მოხდება მოდულშივე მითითებული სხვა კვალიფიციური განმახორციელებლით. სასწავლო პროგრამის ჩატარების ადგილის და თარიღის ცვლილება კი განპირობებული იქნება ანგარში შესასრულებელი ისეთი პრაქტიკული დავალებებით (B check ან C check), რომლებიც პროფესიულ სტუდენტთა პროფესიული განვითარებისთვის მნიშვნელოვანია. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამებში შესაძლებელია შევიდეს გარკვეული ცვლილებები, სასურველია დაწესებულებამ შეიმუშაოს როგორც პროგრამის შემუშავების, ასევე მასში ცვლილებების შეტანის წესი, რომლითაც გაწერს, თუ ვინ უზრუნველყოფს პროგრამების შემუშავებას და როგორ მოხდება მასში ცვლილებების შეტანა. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საავიაციო სფეროს საერთაშორისო და ეროვნული მარეგულირებლების მიერ განხორციელებული ცვლილებები სასწავლო დაწესებულებამ უნდა ასახოს სასწავლო პროგრამაში ცვლილებებიდან გონივრულ ვადაში, ხოლო ჩარჩო დოკუმენტში უნდა აისახოს ჩარჩო დოკუმენტის განახლების ვადის შესაბამისად. აღნიშნული სასურველია გაიწეროს დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციით.

პრაქტიკის განხორციელებისთვის შპს „ეარფლეინ ტექნიკს“-ს თავის მხრივ გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „თამ მენეჯმენტ“-თან, რომლითაც მხარეები თანხმდებიან რომ შპს „თამ მენეჯმენტ“-ი უზრუნველყოფს სხვადასხვა მოწყობილობა-დანადგარებსა და სტენდებზე შეუფერხებელი წვდომის უფლებას შპს „ეარფლეინ ტექნიკს“-ის მიერ დასახელებული სტუდენტებისთვის, არაუმეტეს 10-12 სტუდენტისა 2 წლის განმავლობაში.

- საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების (B1.1) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით 19 კრედიტიანი მოდულის - „პრაქტიკა 1 (B1)“ სწავლება სწორედ შპს „ეარფლეინ ტექნიკს“-ის მიერ უზრუნველყოფილი უნდა იყოს პირველი სასწავლო წლიდან მეორე სასწავლო წლის ჩათვლით. ამასთან, მეორე სასწავლო წელს გათვალისწინებულია 21

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

კრედიტიანი მოდული „პრაქტიკა 2 (B2)", რომლის ერთ -ერთ პრაქტიკის ობიექტად და C გარემოდ მითითებულია კვლავ - შპს თამ მენეჯმენტი.

- საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების (B2) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 17 კრედიტიანი მოდულის „პრაქტიკა 1 (B2)" განხორციელების ადგილად და პრაქტიკის ობიექტად მითითებულია შპს „თამ მენეჯმენტი". სასწავლო გეგმით ირკვევა, რომ აღნიშნული მოდული ხორციელდება პირველ სასწავლო წელს, ხოლო 24 კრედიტიანი მოდულის „პრაქტიკა 2 – B2" ერთ-ერთ პრაქტიკის ობიექტად აქაც მითითებულია შპს „თამ მენეჯმენტი".

აღნიშნულ საკითხებსა და პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის შესახებ გავესაუბრეთ შპს „თამ მენეჯმენტი"-ს წარმომადგენელს, რადგან აღნიშნული საკითხები პროგრამების მიხედვით ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა. შპს „თამ მენეჯმენტი"-ს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისინი მზად არიან 2 წლის განმავლობაში სხვადასხვა მოწყობილობა-დანადგარებსა და სტენდებზე შეუფერხებელი წვდომის უფლება ინსტრუქტორების თანხლებით მისცენ განუსაზღვრელი რაოდენობის პროფესიულ სტუდენტს. მისივე განცხადებით 10-12 სტუდენტი განსაზღვრულია თითო ინსტრუქტორისთვის. სასურველია დაწესებულებამ პრაქტიკის ობიექტებთან დადებულ ხელშეკრულებებში ნათელი გახადოს ბუნდოვანი საკითხები, რადგან მნიშვნელოვანია ხელშეკრულების თითოეული პუნქტი იყოს მკაფიოდ ჩამოყალიბებული.

პრაქტიკის ობიექტების დათვალიერებით გამოირკვა, რომ ორივე ობიექტი აღჭურვილია მოდულებით გათვალისწინებული მატერიალური რესურსებით. მატერიალური კუთხით, დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამების არცერთ მოდულში მითითებული არაა მოდულის განხორციელების ადგილი მისამართის, კორპუსის, ოთახის მითითებით. მხოლოდ განსაზღვრულია თითოეული მოდულის განხორციელების გარემო. შესაბამისად, სასურველია მოდულებში მიეთითოს მოდულის განხორციელების ადგილი სასწავლო ოთახების მითითებით.

ჩარჩო დოკუმენტი, რის საფუძველზეც დაწესებულებამ შეიმუშავა საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურებისა (B1.1) და საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების (B2) პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საგანმანათლებლო პროგრამები, მითითებულია რომ აღნიშნული პროგრამების განხორციელება უნდა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ სერტიფიცირებულ სასწავლო დაწესებულებაში. დაწესებულებას გაკეთებული აქვს განაცხადი საქართველოს სამოქალაქო საავიაციო სააგენტოში, თუმცა განაცხადი განხილვის პროცესშია. შესაბამისად, დაწესებულება ჯერ არ არის საავიაციო სააგენტოს მიერ სერტიფიცირებული საგანმანათლებლო დაწესებულება, რაც აუცილებელია პროგრამების განხორციელებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- დირექტორის ბრძანებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ დირექტორის ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ (№5/2.08.2018);
- შპს „ეარფლეინ ტექნიკს“-თან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებით;
- შპს „თამ მენეჯმენტ“-თან გაფორმებული ხელშეკრულებით.
- ინტერვიუირებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში არსებობს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა (ბეჭდური კატალოგი) (დანართი 3), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების და იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რომლის განხორციელებასაც აპირებს დაწესებულება. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების (B1.1) და საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების (B2) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება ჯერ არ მოუპოვებია, შესაბამისად არ აქვს განთავსებული ვებ გვერდზე. კატალოგის ვებ გვერდზე განთავსება დაგეგმილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შემდეგ. კატალოგში განთავსებული პროგრამები მოიცავენ მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და ჩარჩო დოკუმენტით დადგენილ პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ ინფორმაციას, თუმცა არ ითვალისწინებს შეფასების წესს. აქედან გამომდინარე, შეფასების წესი კატალოგში გასაწერია, სანამ მოხდება მისი ვებ გვერდზე განთავსება.

გამომდინარე იქიდან, რომ კატალოგი არ არის ფორმალური დოკუმენტი, მისი დამტკიცება აუცილებელი არაა. ამასთან სასურველია კატალოგში აისახოს დაწესებულების მთავარი ფასეულობები, აკადემიური კალენდარი, ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების მიღების შესახებ, ჩართულობა სხვადასხვა პროექტებში და ა.შ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- ბეჭდური კატალოგით;
- ვებ გვერდით http://aviationcts.ge/ .

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების (B1.1) და საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების (B2) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

- საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების (B1.1) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების (B2) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებით.

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე ფორმალური პროფესიული განათლების აღიარების წესები. ჩარიცხვის წესი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. კერძოდ საუბარია, რომ კოლეჯში შეიძლება ჩაირიცხოს პირი, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამის საგანმანათლებო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს და განსაზღვრულია დაშვების წინაპირობებთან პირის შესაბამისობა. თუმცა ჩარიცხვის წესი არ ითვალისწინებს უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბერი №98/ნ ბრძანებას - „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

განათლების აღიარების წესი“. აღნიშნული ბრძანებიდან გამომდინარე, აუცილებელია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე დაწესებულებამ უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელ დოკუმენთან (ატესტატი) ერთად სტუდენტისგან ჩაიბაროს, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრიდან გაცემული დოკუმენტი - უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება. ზემოაღნიშნული რეგულაცია დაწესებულებას გაწერილი უნდა ჰქონდეს სტუდენტთა ჩარიცხვის წესში. გამომდინარე იქიდან, რომ მსგავსი ფაქტი კოლეჯში არ ფიქსირდება, სასურველია აღნიშნული გაიწეროს დაწესებულების მარეგულირებელ წესში.

დაწესებულების მიერ გაწერილ სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველში მითითებულია, რომ სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერების საფუძველი შეიძლება გახდეს ფინანსური დავალიანება (რაც შესაბამისი გაფრთხილებების შემდეგ იწვევს პროფესიული სტუდენტის გარიცხვას კოლეჯიდან). გამომდინარე იქიდან, რომ გაურკვეველია რა იგულისხმება შესაბამის გაფრთხილებებში, რა სახის, რა პერიოდულობით (ერთჯერადი, მრავალჯერადი) გაფრთხილებაზეა საუბარი, სასურველია აღნიშნული გაწეროს დაწესებულებამ თავისივე რეგულაციაში.

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს სტუდენტისთვის შეუფერებელი სხვა ქმედება, თუმცა დაწესებულების მიერ არაა გაწერილი, რა შეიძლება იყოს შეუფერებელი სხვა ქმედება.

შინაგანაწესით ირკვევა, რომ სტუდენტთა მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს სსიპ განათლების ხარისხის მართვის ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი წესებისა და ვადების შესაბამისად. გამომდინარე იქიდან, რომ სსიპ - განათლების ხარისხის მართვის ეროვნული ცენტრი არ არსებობს და შესაძლოა იგულისხმებოდეს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ან სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, მაინც გაუგებარია, რომელ ვადებს ითვალისწინებს დაწესებულება, როდესაც პროფესიულ სტუდენტთა მობილობა ცენტრალიზებულად არ რეგულირდება, სამინისტრო და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი მობილობის ვადებს არ ადგენს არც სახელმწიფო და არც კერძო პროფესიული საგანმანათლებელო დაწესებულებებისათვის. შესაბამისად, დაწესებულების მიერ მობილობის ვადები გასაწერია.

შინაგანაწესით ირკვევა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები გაანგარიშდება კრედიტებით. კრედიტთა განაწილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას, ხოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ „სილაბუსით“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება „სილაბუსშივე“ განსაზღვრული შეფასებით. ამასთან, სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში არანაკლებ 10 დღეში. დაწესებულების განმარტებით, გამომდინარე იქიდან, რომ მოდულები ითვალისწინებს ყველა სწავლის შედეგის ერთხელ მოდულის ბოლოს დადასტურებას, აღნიშნული ტერმინის „დასკვნითი გამოცდა“ გამოყენება აქედანაა განპირობებულია. შესაბამისად უარყოფითი შეფასების მიღების შემდეგ, პროფესიულ სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში არანაკლებ 10 დღეში. მიუხედავად დაწესებულების ამგვარი განმარტებისა, სასურველია დაწესებულების მიერ შემუშავებული მარეგულირებელი დოკუმენტი ტერმინოლოგიურად (სილაბუსი, დასკვნითი გამოცდა) გასწორდეს და მოერგოს მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების შესაძლებლობებსა და შეფასების ტიპებს.

დაწესებულებას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით (№13/11.03.2016) დამტკიცებული აქვს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების წესი, რომელშიც ნათქვამია, რომ არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესის მოთხოვნების შესაბამისად (დანართი 10).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შინაგანაწესით;
- არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების წესით;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბერი №98/ნ ბრძანებით - „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი“.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების მიერ შემუშავებული შინაგანაწესის მე-11 მუხლის (საგანმანათლებლო პროგრამა, კრედიტების გაანგარიშების წესი და პროგრამის შეცვლა ან გაუქმება) მე-8 პუნქტით ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი ვალდებულია, უზრუნველყოს სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სრულად ათვისება მილევად რეჟიმში და შემდეგ მოახდინოს პროგრამის შეცვლა ან გაუქმება შესაბამისი ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით, ან საგანმანათლებლო დაწესებულებაში თუ არსებობს გასაუქმებელი ან შესაცვლელი საგანმანათლებლო პროგრამის მონათესავე პროფესია, უზრუნველყოს სტუდენტი მისი ათვისებით, ან მოიძიოს და ითანამშრომლოს იმ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, რომელიც ახორციელებს იმავე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, აღნიშნულის შესახებ მიაწოდოს სტუდენტს დეტალური ინფორმაცია და დაეხმაროს მას მობილობის პროცესის განხორციელებაში.

კოლეჯს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთთან, რომლის მიზანსაც წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ხელი შეუწყონ პროგრამის პროფესიულ სტუდენტებს შემდგომი განათლებით უზრუნველყოფაში. ამისთვის მხარეები მზაობას გამოთვამენ, მომიჯნავე პროგრამის ფარგლებში უზრუნველყონ სასწავლო დაწესებულების ფუნქციონირების შეწყვეტის მომენტისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ჩარიცხული სტუდენტებისთვის სასწავლო პროგრამის დასრულება, მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენა და მინიჭებული კრედიტების აღიარება. ხელშეკრულება მოქმედებს მხარეთა მიერ მის გაუქმებამდე.

გამომდინარე იქიდან, რომ იმ პროგრამებს, რომლის დამატების სურვილსაც გამოთქვამს დაწესებულება, ახორციელებს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, სასურველია კოლეჯმა უზრუნველყოს მასთან მემორანდუმის გაფორმება, რომლითაც შესაძლებელი იქნება პროგრამის შეუცვლელად პროფესიული სტუდენტისთვის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შინაგანაწესით;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესი, რომელიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას, მოდულების შემოწმებას, პროფესიული მასწავლებლის შეფასების კრიტერიუმებს, პროფესიული მასწავლებლის შეფასებას, პროფესიული მასწავლებლის თვითშეფასებას, სტუდენტის მიერ პროფესიული მასწავლებლის შეფასებას და დამსაქმებლის გამოკითხვას. შედეგების ანალიზის საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა რეკომენდაციები უნდა წარადგინოს ადმინისტრაციის წინაშე, სასწავლო პროცესის შემდგომი სრულყოფის მიზნით.

გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას პროფესიული სტუდენტი არ ჰყოლია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესს ვერ გამოიყენებდა სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესით;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულება საკუთრებაში ფლობს თბილისში, ბროსეს ქუჩაზე 79 კვ.მ კომერციულ ფართს. სასწავლო მიზნებისთვის და პროგრამების განხორციელებისთვის გამოიყენება თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის N191გ-ში განთავსებული ფართი, რომელსაც დაწესებულება იჯარის ხელშეკრულებით განკარგავს 2017 წლის 1 აპრილიდან 36 თვით.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	თბილისი, ბროსეს ქუჩა, N2	79.00 კვ.მ.
2	თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი, N191გ	53.41 კვ.მ.
3	თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი, N191გ	144.79 კვ.მ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- საჯარო რეესტრიდან ამონაწერებით;
- საიჯარო ხელშეკრულებით.

შეფასება:

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის დათვალიერებით გამოირკვა, რომ დაწესებულებაში 2 სასწავლო ოთახია სასწავლო მიზნებისთვის გათვალისწინებული. შესყიდვის დოკუმენტაციით და ინვენტარიზაციის აქტით (03.07.2018) ირკვევა, რომ კოლეჯი ფლობს 50 მერხს სკამით. მათგან 17 ერთეული გადანაწილებულია სასწავლო ოთახში - N1 და 16 ერთეული სასწავლო ოთახში - N2. სასწავლო ოთახები ასევე აღჭურვილია მასწავლებლისთვის ნოუთბუქითა და პროექტორით. ასევე, თითოეულ სასწავლო ოთახში განთავსებულია დაფა.

სასწავლო ოთახში N2 განთავსებულია კომბაინი და 10 ნოუთბუქი მოდულის - „ინფორმაციული წიგნიერება 2“ სასწავლებლად.

მოდულებში მოდულის განხორციელების ადგილი მითითებული არაა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მოდულებში მიეთითოს მათი განხორციელების ადგილი სასწავლო ოთახების მითითებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შესყიდვის დოკუმენტებით;
- ინვენტარიზაციის აქტით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

- ვიზუალური დათვალიერებით.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში არსებობს ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა. ბუნებრივი განათება უზრუნველყოფილია ყველგან, სადაც დაწესებულებას სურს განახორციელოს მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. საიჯარო ხელშეკრულების თანახმად (დანართი 4), საიჯარო ფართების რემონტისათვის გაწეული ხარჯთაღრიცხვიდან ხელშეკრულების ვადით გაქვითულია საიჯარო ქირა. ამასთან საიჯარო ქირა მოიცავს ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირისა და წყლის გადასახადებს.

საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებულია, რომ მეიჯარე ვალდებულია მოიჯარისათვის დამატებით გადასახადის დაკისრების გარეშე უზრუნველყოს საერთო სარგებლობის ფართების მოწესრიგებული ფუნქციონირება. შესაბამისად, სველი წერტილები საერთო სარგებლობაშია, სადაც უზრუნველყოფილია სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა. სანიტარული კვანძები არსებობს ცალ-ცალკე ქალებისთვის და მამაკაცებისათვის.

ინვენტარიზაციის აქტით ირკვევა, რომ დაწესებულება ფლობს 8 გამათბობელს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საიჯარო ხელშეკრულებით;
- ინვენტარიზაციის აქტით.
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ბიბლიოთეკის მუშაობა რეგულირდება დირექტორის მიერ დამტკიცებული ბიბლიოთეკის დებულებით. ვებგვერდზე განთავსებულ ბიბლიოთეკის დებულებაში არის ტექნიკური ხასიათის შეცდომა. ბიბლიოთეკის მისამართად მითითებულია მარი ბროსეს ქუჩა, როდესაც ბიბლიოთეკა განთავსებულია ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე. შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის გამოსასწორებლად.

ბიბლიოთეკისთვის დაწესებულებას აქვს ცალკე გამოყოფილი ქსელში ჩართული კომპიუტერი, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და ელ. საძიებო სისტემა (Open Biblio).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კოლეჯის მიერ შემუშავებული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას.

დაწესებულების ბეჭდური და ელექტრონულ მატარებლებზე არებული ბიბლიოთეკის ფონდი შეესაბამება მოდულებში მითითებულ სასწავლო რესურსს. ბიბლიოთეკაში არსებული საგანმანათლებლო რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით.

პროგრამებში მითითებული ძირითადი სასწავლო რესურსი კოლეჯს მიღებული აქვს იტალიის ქ. ვერონას სან კარლოს საავიაციო ინსტიტუტთან შეთანხმების შედეგად, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით. ბიბლიოთეკაში არის ბეჭდური კატალოგი, რომლებიც დანაწევრებულია პროგრამების მიხედვით და განაწილებულია რამდენიმე ჟურნალში. კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია, აღნიშნული ინფორმაცია გააერთიანოს და განათავსოს წიგნადი ფონდის ერთ საინვეტარო წიგნში.

ბიბლიოთეკარი ფლობს შესაბამისი ცოდნის დამადასტურებელ დოკუმენტს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- წიგნადი ფონდის აღრიცხვის დოკუმენტებით;
- სან კარლოს უნივერსიტეტთან გაფორმებული შეთანხმებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ვებ გვერდის დათვალიერებით.

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში. შესყიდვის დოკუმენტაციითა და ინვენტარიზაციის აქტით ირკვევა (დანართი 5), რომ დაწესებულება ფლობს 13 კომპიუტერს და 3 ნოუთბუქს, რომელთაგან 10 კომპიუტერი გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტებისთვის, 2 ნოუთბუქი გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის, ხოლო 4 გადანაწილებულია კოლეჯის მენეჯერებსა და დირექტორზე. კოლეჯი ასევე ფლობს 4 პრინტერს. მათგან სამს იყენებს დაწესებულების მართვისთვის.

სასურველია დაწესებულებამ შეიმუშაოს აქტი კომპიუტერული ტექნიკის გადანაწილების შესახებ ან/და პერსონალთან გააფორმის მიღება ჩაბარების აქტი.

ინტერნეტის მიწოდებას მოიჯარისთვის უზრუნველყოფს მეიჯარე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შესყიდვის დოკუმენტაციით;
- ინვენტარიზაციის აქტით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვას არეგულირებს დირექტორის მიერ დამტკიცებული საქმისწარმოების წესი (ბრძანება N3/03/02/2016). საქმისწარმოებას ახორციელებს დირექტორის მიერ დანიშნული საქმეთამმართველი.

კორესპონდენციების აღრიცხვა წარმოებს სარეგისტრაციო ჟურნალებში, რომლებიც აკინძული, ზონარგაყრილი და დანომრილია. წარმოებს შემოსული და გასული კორესპოდენციების, ხელშეკრულებების, ბრძანებების და გაცემული ცნობების აღრიცხვა გაწერილი წესის შესაბამისად. თუმცა ხელშეკრულებათა აღრიცხვის ჟურნალში ახალი კალენდარული წლის, 2018 წლის ხელშეკრულებები 2017 წლის ხელშეკრულებებთან ერთადაა აღრიცხული. 2017 წელს მხოლოდ ერთი ხელშეკრულებაა გაფორმებული და შემდგომ მოსდევს 2018 წელს გაფორმებული ხელშეკრულებები. სასურველია, ახალი კალენდარული წლის ხელშეკრულებები ახალი გვერდიდან აღირიცხოს, რის შესახებაც კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია. მით უფრო, რომ აღნიშნული გაწერილი აქვს დაწესებულებას თავისივე რეგულაციაში.

დაწესებულება აწარმოებს რეესტრს (evet.emis.ge) და აქვს პირადი გვერდი პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემაში, სადაც მოიპოვება ინფორმაცია კოლეჯის და პერსონალის შესახებ. გამომდინარე იქიდან, რომ კოლეჯი არ ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, პროგრამებსა და პროფესიულ სტუდენტებზე ინფორმაცია არაა განთავსებული.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქმისწარმოების წესით;
- სარეგისტრაციო ჟურნალებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- რეესტრით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯს შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს უსაფრთხოების წესები, ევაკუაციის გეგმა და სამედიცინო პუნქტის დებულება.

დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. კოლეჯში ორივე სართულზე თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული ევაკუაციის გეგმა და ევაკუაციის პროცედურები. ორივე სართული აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობებით - ცეცხლმაქრებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კოლეჯში გამოყოფილია სამედიცინო კუთხე, სადაც შესაბამის პირობებში განთავსებულია პირველადი გადაუდებელი დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტები. სამედიცინო კუთხეს ხელმძღვანელობს ექიმი. დაწესებულებას დირექტორის ბრძანებით (№7/08.02.2016) დამტკიცებული აქვს სამედიცინო პუნქტის დებულება, რომლითაც გაწერილია ექიმის ვალდებულებები.

საიჯარო ხელშეკრულებით წესრიგის დაცვასა და პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთოხოებაზე ასევე ზრუნავს კომპანია სს „თამ“ თბილავიამშენი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სამედიცინო პუნქტის დებულებით (ბრძ. N 7/08.02.2016);
- ევაკუაციის გეგმით;
- ევაკუაციის პროცედურებით (ბრძ. N 6/08.02.2016);
- უსაფრთხოების წესებით (ბრძ. N 4/03.02.2016)
- საიჯარო ხელშეკრულებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულება იჯარის ხელშეკრულებით ფლობს საიჯარო ფართს შენობის პირველ და მეორე სართულზე. სსსპ პირს თავისუფლად ექნება წვდომა სასწავლო ოთახებთან და ბიბლიოთეკასთან, რომლებიც განთავსებულია შენობის პირველ სართულზე, მაგრამ ვერ ექნება წვდომა ადმინისტრაციასთან, გამომდინარე იქიდან, რომ კიბის უჯრედზე განთავსებული არ არის პანდუსი და შენობაშიც არ არის ლიფტი. ასევე, სველი წერტილები არ არის ადაპტირებული. აღნიშნული დაწესებულების განმარტებით გამომდინარეობს იქიდან, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები დაშვების წინაპირობად ითვალისწინებს ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობის წარმოდგენას. შესაბამისად, სსსმ პროფესიული სტუდენტი, იმ პროგრამების ფარგლებში, რომელთა დამატების სურვილსაც გამოთქვამს დაწესებულება, ვერ ეყოლებათ. სხვა პროგრამები კი კოლეჯში არ ხორციელდება.

მიუხედავად ზემოაღნიშნული განმარტებისა, ქვესტანდარტი 2.7 დარღვეულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიუირებით.

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვებგვერდი, რომელიც ორენოვანია (ინგლისური, ქართული) ასრულებს საკომუნიკაციო ფუნქციას და მასზე განთავსებულია დაწესებულების საკონტაქტო ინფორმაცია. ვებ გვერდი იძლევა წერილის მიწერის შესაძლებლობასაც.

საინფორმაციო ფუნქციის შესრულების მიზნით წარმოდგენილია სტანდარტით განსაზღვრული დაწესებულების სტრუქტურა (ორგანოგრამა) და პერსონალზე ინფორმაცია. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულება არ ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებს, ვებ-გვერდზე პროგრამები განთავსებული არაა. განთავსებულია ინფორმაცია მხოლოდ EASA Part 66 სწავლების საბაზო კურსის და B1.1 და B2 კატეგორიის სერტიფიკატების მისაღებად დამტკიცებული გამოცდების შესახებ.

ვებ გვერდზე სიახლეების განთავსება არ ხდება. მათი განმარტებით, სიახლეებს დებენ კოლეჯის ოფიციალურ facebook გვერდზე.

სასურველია, თუკი ვებგვერდზე განთავსდება პროფესიული განათლების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები ან შესაბამისი ბმულები, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები და წინა წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ჰოსტინგის ხელშეკრულებით (დანართი 6);
- ვებგვერდით დათვალიერებით http://aviationcts.ge ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
■ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს მისია, რომლის მიზანია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება და კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება. ამასთან სასურველია დაწესებულების მიერ გაიწეროს ხედვა და ღირებულებები. ღირებულებებმა უნდა მოგვცეს ინფორმაცია იმ ძირითად პრინციპებზე, რომლებზე დაყრდნობითაც გეგმავს დაწესებულება მისიაში გაცხადებული მიზნების მიღწევას.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები დამტკიცებულია უფლებამოსული პირის მიერ. 2016-2021 წლების განვითარების სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებს swot ანალიზს და გაწერილია აქტივობები, ეტაპები, მოსალოდნელი შედეგები, პერიოდი და პასუხისმგებლები პირები. აქტივობების გარდა, ასევე დაგეგმილია განვითარებაზე ორიენტირებული პერმანენტული ღონისძიებები, რომლებიც დაჯგუფებულია შემდეგნაირად:

- სასწავლო პროცესის გაუმჯობესება;
- სტუდენტთა პიროვნული განვითარების ხელშეწყობა;
- პედაგოგიური პერსონალის პროფესიული განვითარება;
- საბიბლიოთეკო რესურსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

- ინფრასტრუქტურული პოტენციალის გაუმჯობესება;
- საზოგადოებასთან ურთიერთობა;
- საწარმოო ბაზებთან თანამშრომლობა;

სტრატეგიულ გეგმაში გაწერილი მოსალოდნელი შედეგები საჭიროებს აქტივობიდან გამომდინარე უფრო მეტ ჩაშლასა და დაკონკრეტებას. დაწესებულების მიერ გაწერილი მოსალოდნელი შედეგები არ იძლევა ყველა იმ მოსალოდნელ შედეგს, რასაც მოიაზრებს გაწერილი აქტივობები (დანართი 7).

სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან და ემსახურება მისი მიზნების მიღწევას. მასში გაწერილია სტრატეგიული მიზანი, ქვემიზანი, აქტივობები, შესრულების ვადა, პასუხისმგებელი პირი და შესრულების ინდიკატორები. შესრულების ინდიკატორები საჭიროებს დაკონკრეტებას, რათა იყოს გაზომვადი და მოგვცეს შესაძლებლობა განისაზღვროს, რამდენად გადის დაწესებულება სტრატეგიულ მიზანზე (დანართი 8).

დაწესებულებამ წარმოადგინა 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, რომელიც მიმართულებების მიხედვით იძლევა ინფორმაციას გატარებული ღონისძიებების შესახებ. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულება ახორციელებს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შეფასებას, სასურველია შესრულების ანგარიშები განთავსდეს ვებ-გვერდზე (დანართი 9).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მისიით;
- განვითარების სტრატეგიული გეგმით 2016-2021;
- 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმით;
- 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშით.
- ვებ-გვერდით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები, სადაც განთავსებულია შინაგანაწესით გათვალისწინებული ის დოკუმენტები, რომლითაც კომპლექტდება პერსონალის პირადი საქმე. გადამოწმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს, მათ შორის ექიმის და ბიბლიოთეკარის.

გამომდინარე იქიდან, EASA Part 66-ით განსაზღვრულ საბაზო სასწავლო კურსების სასწავლებლად დაწესებულება ითვალისწინებს ევროპული საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს (EASA)-ს სტანდარტს და მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რომლებიც გაწერილია ინგლისურად, ასევე სასურველი იქნება, დაწესებულებამ სახელმწიფო ენაზე გაწეროს და დაამტკიცოს საკვალიფიკაციო მოთხოვნები თითოეული თანამდებობისათვის, რომელთან მიმართებაშიც მოხდება პერსონალის შერჩევა და მათი კვალიფიკაციის შედარება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პირადი საქმეებით.
- EASA-ს საკვალიფიკაციო მოთხოვნებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების მიერ საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურებისა (B1.1) და საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების (B2) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის გათვალისწინებულია 12 პირი. ჩარჩო დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც შემუშავდა პროგრამები, მითითებულია - პერსონალი, რომელიც პროგრამის ფარგლებში ჩართულია თეორიული და პრაქტიკული მომზადების პროცესში, უნდა ფლობდეს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ გაცემულ სათანადო მოწმობებს შესაბამისი თეორიული სწავლებისა და პრაქტიკული მომზადების უფლებით. აღნიშნული გაწერილია სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ (№221/24.10.2013) „სამოქალაქო ავიაციის სასწავლო დაწესებულების სერტიფიცირების წესშიც“. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამების განმახორციელებელ პერსონალთა პირად საქმეში მხოლოდ ერთ პირს უდევს შესაბამისი მოწმობა. დაწესებულება სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ სერტიფიცირების პროცესშია, რომლითაც უნდა დადასტურდეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მასთან სასწავლო პროგრამების შეთანხმება და პროგრამის განმახორციელებლებისთვის სათანადო მოწმებების გაცემა. იქამდე პროგრამის განმახორციელებელთა კვალიფიკაციის შესაბამისობა ვერ დასტურდება.

პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ისინი ახორციელებენ EASA Part 66-ით განსაზღვრულ საბაზო სასწავლო კურსს B1.1 და B2 კატეგორიების სერტიფიკატების მოსაპოვებლად. შესაბამისად, კარგად იცნობენ პროგრამებს, შეფასების წესს. ამასთან, ისინი მუდმივად გადიან ტრენინგებს, რომელთა გავლის ვალდებულებაც ხელშეკრულებითვე აქვთ გაწერილი. შესაბამისად სრულ მზაობას გამოთქვამენ განახორციელონ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების ჩარჩო დოკუმენტით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადზე თანდართული პირადი საქმეებით;
- სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის ბრძანებით (№221/ 24.10.2013) „სამოქალაქო ავიაციის სასწავლო დაწესებულების სერტიფიცირების წესი“.
- ინტერვიუირებით.

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან დადებული აქვს როგორც მომსახურების, ასევე შრომითი ხელშეკრულებები. შრომით ხელშეკრულებებში საუბარია, რომ გარკვეული საკითხები რეგულირდება შრომის შინაგანაწესით, როდესაც დაწესებულებას მსგავსი მარეგულირებელი დოკუმენტი არ აქვს. ამასთან ხელშეკრულებებში მითითებულია მხოლოდ სპეციალიზაციის კატეგორია და არა პროგრამის სრული სახელწოდება (დანართი 11; დანართი 12). შესაბამისად, სასურველია თუკი შრომით ხელშეკრულებებში გაიწერება პროგრამების სრული სახელწოდება კატეგორიის მითითებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შრომითი ხელშეკრულებებით;
- მომსახურების ხელშეკრულებებით.

შეფასება:

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/საგნობრივი პროგრამებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულ ენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B1.1)	V	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საჰაერო ხომალდების ტექნიკურ მომსახურებაში 041665	127.5	127.5	ინგლისური ენა	თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზ. 191გ	0	20
2	საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B2)	V	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საჰაერო ხომალდების ტექნიკურ მომსახურებაში 041665	121.5	121.5	ინგლისური ენა	თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზ. 191გ	0	20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;

დანართი 2. საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურებისა (B1.1) და საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების (B2) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმები;

დანართი 3. განსახორციელებელი საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა კატალოგი;

დანართი 4. იჯარის ხელშეკრულება;

დანართი 5. კოლეჯის ინვენტარიზაციის აქტი;

დანართი 6. ჰოსტინგის ხელშეკრულება;

დანართი 7. განვითარების სტრატეგიული გეგმა 2016-2021;

დანართი 8. 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა;

დანართი 9. 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში;

დანართი 10. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების წესი;

დანართი 11. შრომითი ხელშეკრულება;

დანართი 12. შრომითი ხელშეკრულება.

11.09.2018

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---